NeoLab

კლინიკა - ნეოლაბი
ტაშკენტის ქ. 47, 0160 თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: (+995 32) 239 28 03; (+995 32) 239 28 96
ელ-ფოსტა: neolabgeo@gmail.com
www.neolab.ge

Clinic - NeoLab
Tashkenti str. 47, 0160 Tbilisi, Georgia
Tel/Fax: (+995 32) 239 28 03; (+995 32) 239 28 96
E-mail: neolabgeo@gmail.com
www.neolab.ge

13.03.2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოს

რეცენზია

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ბოლო ანგარიშის მიხედვით მსოფლიოში სულ დადასტურებულია ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) 110 ათასზე მეტი შემთხვევა. ინფექციით გამოწვეული ლეტალობა კი დაახლოებით 3,5%-ს შეადგენს. COVID-19 უკვე გავრცელდა მსოფლიოს 110 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

COVID-19-ზე საეჭვო და/ან დადასტურებული ინფექციით ავადმყოფების დროული, ეფექტიანი და უსაფრთხო მკურნალობისათვის ქვეყანაში უნდა არსებობდეს შესაბამისი კლინიკური მენეჯმენტის პროტოკოლი/კლინიკური რეკომენდაციები.

პროფესორ თენგიზ ცერცვაძის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე განსახილველად წარდგენილია „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მენეჯმენტის“ პროტოკოლი/კლინიკური რეკომენდაციები.

აღნიშნული პროტოკოლი შედგენილია ჯანმო-ს, აშშ-სა და ევროპის დაავადებათა კონტროლის ცენტრების პროტოკოლებზე/რეკომენდაციებზე და აგრეთვე სხვა ლიტერატურული წყაროებზე დაყრდნობით და მნიშვნელოვნად დაეხმარება ექიმ-ინფექციონისტებს, პირველადი ჯანდაცვის რგოლის და აგრეთვე სხვა პროფილის ექიმებს, COVID-19-ზე საეჭვო და/ან დადასტურებული პაციენტების მკურნალობასა და მოვლაში.

შესაბამისად რეკომენდაციას ვუწევთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის

მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე წარდგენილ „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მენეჯმენტის“ პროტოკოლს/კლინიკურ რეკომენდაციებს.

პატივისცემით,

მაია ბუწაშვილი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ინფექციონისტი
კლინიკა "ნეოლაბის" კლინიკური განყოფილების გამგე

"NEOLAB" LTD * Neolab * 205184352 * "ნეოლაბი" შპს